№ 49
პარასკევი, 6 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 49
პარასკევი, 6 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქ. გორი

კვირას, 8 მარტს,

ქ. გორში სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქნება საქველ-მოქმედო აზრით გორის ქსენონის სასარგებლოდ ქართული წარმოდგენა.
წარმოდგენილი იქნება

I

**ციმბირელი**

კომედ. 4 მოქმ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ს. ა. ლომაურისა, კნ. მ. კ. ხერხეულიძისა, ე. ა. ჯავახოვისა, ბ. გ. ლოლაძისა, ო. გ. თულაშვილისა, ლ. კარდანახელი, თავ. კ. ი. ხერხეულიძე, ს. რობაკიძე, კ. დ. დათაძე, ნ. თვალიაშვილი, ი. ივერიელი.

მოთავე წარმოდგენისა: კნ. მ. კ. ხერხეულიძისა.

II

**დივერტისმენტი**

დასაწყისი 8 საათზედ

(2—უ. – 1)

**ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მმართველობა**

ამითი აცხადებს, რომ კვირას, 22 მარტს, წლიური კრება იქმნება საზოგადოების წევრთა ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. კრება დაიწყება დილის 10 საათზედ. განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1897 წ. ანგარიშისა.

2) დამტკიცება 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) ამორჩევა საბჭოს სამის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელთაც არჩევანის ვადა შეუსრულდათ;

4) ამორჩევა მმართველობის დირექტორისა იმის ნაცვლად, რომელიც თავს ანებებს სამსახურის ვადის შესრულებისა გამო.

5) ამორჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს წევრთ, რომელთაც რწმუნების ქაღალდი ექმნებათ, საზოგადოების წესდების მე-36 § ის ძალით სამის დღით ადრე წარუდგინონ მმართველობას ეს რწმუნების ქაღალდები, ე. ი. არა უგვიანეს 18 მარტისა.

(3—6.—3)

ტფილისის

ვაჭართა მამასახლისი სთხოვს 1 და მე-2 გილდის ვაჭრებს დაესწრნენ

**საერთო კრებას,**

რომელიც გაიმართება კვირას, 8 მარტს, დილის $11^1/_2$ საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1) 1897 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და ის საქმეები, რომელიც ვაჭართა საზოგადოებას შეეხება;

2) არჩევანი ვაჭართა ერთის მამასახლისისა და იმის ამხანაგისა 1898 წლისთვის;

3) არჩევანი სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის ექვსის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც თანამდებობას წლის ყრით თავს ანებებენ.

(1—52—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პოდპოლკოვნიკობა კაპიტნებს: გრუზინის ზურგის ჯარის ბატალიონისას ახვლედიანს, ფოთის ზურგის რაზმისას შიო-ელიავას, ამასთან იგი გადაყვანილ იქმნა მე-104 უსტიუგის ქვეითა რაზმში, მისის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სახელობის გრენადერთა ტფილისის მე-15 რაზმისას თავად მაყაშვილს, მის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძის ბაქოს მე-153 ქვეითა რაზის, მუსხელაშვილს, დერბენდის მე—154 ქვეითა რაზმისას გუგუშვილს, გრენადერთა გრუზინსკის მე-14 რაზმის თავად ალექსანდრე ბარათაშვილს, ამასთან იგი გადაყვანილ იქმნა დერბენდის მე-154 ქვეითა რაზმში, ლორის ზურგის ჯარისას თავად ვაჩნაძეს, ამასთან გადაყვანილ [illegible]-ში, ყაბარდოს მე-80 ქვეითა რაზმისას წინამძღვარიშვილს, ამასთან გადაყვანილ იქმნა რილსკის მე-126 ქვეითა რაზმში.

გამწესებულ იქმნა აზნაური ალექსანდრე ყავრიშვილი სიღნაღის სამაზრო პოლიციის სამმართველოში კანცელარიის მოხელედ.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაში ქალაქ ერევნის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ვლადიმირ დავითაია *).

## ახალი ამბავი

∴ პატივცემულს დოქტორს ივან ბალდანის ძეს გასპარიანცს შეუწირავს ოცი თუმანი სათავად-აზნაურო სკოლის სახლის ასაშენებლად. ეს ოცი თუმანი თუმცა საკმაოდ კარგი შესაწირავია და გულითადის მადლობის ღირსია შემომწირველი, მაგრამ ჩვენთვის უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ყოვლად პატივცემულმა ივან ბალდანის ძემ გასპარიანცმა კვლავ მოგვცა შემთხვევა ვთქვათ, რომ იგი ყოველ კეთილის თანაგრძნობელია მიუხედავად იმისა—ვის და რას აწვდის თავისს შესაწირავსა, ოღონდ საქმე კარგი იყოს. ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ ბ-ნს გასპარიანცს და ვიცით, იგი იმისთანა კაცია, რომელსაც პატიოსანი სიყვარული თავისიანისა არ უშლის უყვარდეს სხვაცა. ამიტომაც ეს ახალი თანაგრძნობა მისი [illegible]

*) გაზ. „ივერიის" მე-46 ნომრის მთავრობის განკარგულებაში შეცდომით იყო: „დანიშნულ იქმნა ნ ო დ ი ა—ქუთაისის გუბერნიის, რაჭა-ლეჩხუმის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად"-ო, უნდა იყოს: „ხარჯ-ამკრებ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად".

## ფელეტონი

### ჯონსტონის თავგადასავალი.

(თარგმანი)

ეჭვი არ გქონდეთ, რომ რასაც ეხლა მოგახსენებთ, მართლა მომხდარა და აქ მოგონილი არაფერია. ყოველივე ეს თვით ჯონსტონმა მიამბო და, გარწმუნებთ, რომ ჯონსტონს სრულებით არა აქვს ისეთი ფანტაზია, ანუ შემოქმედების ნიჭი, რომ თითონ მოეგონა რამ. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ჯონსტონი ვერაფერი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი გამოდგა, ამ ბოლოს დროს ხელი მოჰკიდა დიდრონ რომანების წერას და თავიც მოაქვს იმითი, ნამდვილს „ლიტერატურას" ვემსახურები და ისეთს მწერალს არა ვგევარ, რომელიც მხოლოდ გაართობს და გააცინებს მკითხველსაო.

ერთხელ როგორღაც ლაპარაკი ჩამოვარდა ამერიკელების შესახებ და მე ვსთქვი, ამერიკელებს ცუდუბრალოდ დროს დაკარგვა არ უყვართ და თან დააქვთ ხოლმე ბარათები, რომლებზედაც ათასგვარი დარიგება სწერია, მიმართული იმ კაცისადმი, ვინც გზაში ჩააცივდება.

ჯონტსონს ჯერ რაღაცნაირად გაეღიმა და მერე მიამბო შემდეგი.

კარგად ვიცი ეგ ყოველივე. ჩემმა მეგობარმა ჩიკაგოდგან ბარათი მომიტანა, რომელსაც ზედ ეწერა: „ყრუ და მუნჯი გახლავართ". მეგობარმა მითხრა, ჩიკაგოში რკინის გზის ვაგონში ან ომნიბუსში ვისმეს რომ ლაპარაკი დაუწყოთ, ათ კაცთა შორის ცხრა უეჭველად ასეთს ბარათს მოგაჩეჩებთ ხელში და ამით გაგრძნობინებთ, გთხოვთ თავი დამანებოთო.

სწორედ მეორე დღეს ვაპირებდი ვერვიკშირში წასვლას ჩემს მეგობარ სკობლთან და ვიფიქრე, მოდი ამ ბარათს თან წავიღებ, გამომადგება. თუ ვინიცობაა ვინმემ ლაპარაკი გამიბედა და გაზეთის წაკითხვა დამიშალა, იმ წამსვე ამ ბარათს გამოვიყენებ. ამ მოფიქრებამ ძლიერ გამახარა. რა გონიერი ხალხია ეს ამერიკელები! რას არ გამოიგონებენ! ასეთის ბარათის შემწეობით თავიდგან მოშორება არა-მკითხე-მოამბე კაცისა სწორედ რომ საუკეთესო საშუალებაა და, თუ გნებავთ, აუცილებელ საჭიროებადაც უნდა ჩაითვალოს ჩვენს დროში.

გეხსომებათ, მგონია, სკობლი. ძლიერ გულ-კეთილი კაცია. იქმნება ცოტა თავ-მოსაწყენი კაცი იყოს, არ აგიხირდებით, მაგრამ ძლიერ პატიოსანი და გულ-მართალი ადამიანი-კია. მართლა,—როცა ვისმე პატიოსანსა და გულ-მართალს ვეძახით, რაღად დავუმატებთ ხოლმე, რომ ცოტა თავ-მოსაწყენი კაცი არისო? ეგ ხომ სულ ერთია.—ახალგაზდა ქალზე ლაპარაკი ჩამოაგდოს კაცმა და სთქვას: „ძლიერ ჭკვიანი და გულ-კეთილი არისო". ყველა მაშინვე მიხვდება, რომ ის ქალი გონჯი ყოფილა. უკაცრავად, ყოველსავე ამას არავითარი კავშირი არა აქვს ჩემს მოგზაურობასთან. სიტყვამ მოიტანა მხოლოდ.

დიაღ, იუსტონის რკინის გზის სადგურზედ წავედი და მეორე კლასის ბილეთი ვიყიდე: იმ დღეებში მესამე კლასით მხოლოდ მესამე კლასის ღირსების ხალხი დადიოდა. ჩემს ვაგონში არავინ იყო და, სწორედ მოგახსენოთ, ეს ამბავი არაფრად მეჭაშნიკა: მეშინოდა, ვინ იცის, იქმნება ამ ვაგონში ან მარტო ხელი დედაკაცი შემოვიდეს, ან ლოთი, ან გიჟი და მოსვენება არ მომცეს. რა გგონიათ? სულ უკანასკნელ წუთს, მატარებელი რომ დაიძრა, ვაგონში შემოიჭრა დედაკაცი, რომელსაც ეტყობოდა, კინაღამ არ დაუგვიანდა. რაღა თქმა უნდა, ეხლა ვაგონის გამოცვლაზე ფიქრი უბრალოდ დროს დაკარგვა იქმნებოდა და იმის მეტი აღარა დამრჩენოდა რა, რომ გაზეთის კითხვა დამეწყო.

ეს დედაკაცი საკმაოდ ლამაზი იყო. ასე 30 წლისა იქმნებოდა. სიცხისა და აღელვებისაგან ლოყები დასწითლებოდა და აშკარად ვატყობდი, რომ ძლიერ უნდოდა გაემჟღავნებინა ვისმესთვის თავისი ჯავრი სიცხეზედ და უტვინო მეეტლეებზე. დედაკაცი რომ სადმე მიდის და უსიამოვნება რამ მოუხდეს გზაში, ვინც უნდა შეჰხვდეს, უეჭველად უნდა გაუზიაროს თავისი ჯავრი და აღელვება. კარგადა ვგრძნობდი, რომ საცაა ეს დედაკაცი დამელაპარაკებოდა და რადგანაც არ ვიცოდი, ვინ იყო და რა ჰქონდა გულში, სწორედ მოგახსენოთ, ძლიერ შემეშინდა. უცნობ დედაკაცთან თუ ვარ, ყოველთვის ნერვები ამეშლება ხოლმე. ვიცი, რომ ეს სისულელეა, მაგრამ რა ვქნა, ვერაფერი მომიხერხებია. ეს მაკვირვებს მხოლოდ, რკინის გზის მატარებელში რატომ ცალკე ვაგონები არა აქვთ საკუთრივ მამა-კაცთათვის და თუ ეს მოუხერხებელია, გამცილებელი და მცველი მაინც თან გააყოლონ ხოლმე უცოლო კაცს.

დედაკაცმა მართლა ლაპარაკი დაიწყო:

— უკაცრავად, ბატონო, ვერ მეტყვით, რამდენი საათია ეხლა? ჩემი მეეტლე, მგონია, მთელ საათს მოუნდა კენსინგტონიდგან სადგურამდე მოსვლას. დარწმუნებული ვარ, რომ მთვრალი იყო და გზა შეეშალა. რა უნდა გააწყოს საბრალო დედაკაცმა მთვრალ მეეტლესთან! პოლიციაში წაიყვანოს,—ამას არც ერთი დედაკაცი არ იკადრებს; ან რა გამოვა აქედგან? ამას წინად ჩემმა მეგობარმა...

ეხლა-კი დრო იყო. ავიღე და ამ დედაკაცს მივაჩეჩე ბარათი, გუშინ რომ ჩემმა მეგობარმა მომიტანა.

წაიკითხა და წამოიძახა:

— აჰ, ძლიერა ვსწუხვარ. მაშ უკაცრავად! და დაჩუმდა.

მე ისევ გაზეთის კითხვა დავიწყე და ამერიკელების გონიერებას ვლოცავდი.

ცოტა არ იყოს სინიდისი-კი მაწუხებდა, რადგანაც ვერ გამომერკვია, რა განსხვავებაა ნამდვილ სიცრუისა და იმ ბარათზედ განზრახ დაბეჭდილ სიცრუის შორის, რომელიც უცნობ კაცს უნდა გადასცე. ჩემს თავს ვეკითხებოდი: ამ ბარათის მიცემით, რომელზედაც ეწერა: „ყრუ და მუნჯი გახლავარ", ისე ვიცრუე, თუ არა, როგორც ვიცრუვებდი, პირდაპირ რომ ეს მეთქვა მისთვის. მაგრამ ამ დედაკაცთან ლაპარაკის მოშორება ისე მესიამოვნა, რომ ჩემი საქციელის განხილვა იმ დრომდე გადავდე, ვიდრე დანიშნულ ალაგაზე მივიდოდი.

ვილდენის სადგურზედ ვაგონში

გვაკვირვებს, არამედ სიამოვნებით გვიმსებს გულს, რომ ჩვენს მისდამი პატივისცემას, რომელიც აქამდე გვქონდა და კვლავაცა გვაქვს, ერთი საბუთი კიდევ მოემატა.

*** პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 26 მარტს პეტერბურგიდგან გამოემგზავრება ტფილისს, სადაც ჩამობრძანდება მწუხრის კვირაში. მთავარ-მართებლის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი და სხვანი, რომელნიც ახლდნენ თავ. მთავარ-მართებელს, პეტერბურგში დარჩებიან. გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი აღდგომის დღესასწაულების შემდეგ ისევე პეტერბურგს გაემგზავრება სახელმწიფო საბჭოში დასასწრებლად.

*** საქართველოს ექსარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლავიანე 20 მარტს ჩამოვა ტფილისში.

*** გუშინ წინ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტად დანიშნულს ვლადიმირს მიულოცეს უმაღლესი თანამდებობის მიღება სინოდის კანტორისა და ექსარხოსის კანცელარიის ყველა მოხელეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიამ, სასულიერო სასწავლებელმა და ქალაქის სამღვდელოებამ. როდესაც სამღვდელოებამ მიულოცა, დეკანოზმა მამა ელიაშვილმა სიტყვით მიჰმართა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას. მისმა მეუფებამ ყველას მადლობა გამოუცხადა და დასასრულ სთქვა, რომ საქართველოს სამღვდელოება სიხარულით უნდა მიეგებოს [illegible] ტად კეთილი და თავისს სამწყსოს ინტერესების დამცველი კაციაო. სიტყვითვე მიჰმართა მის მეუფებას აგრეთვე ვაჟთა პირველ გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებელმა დეკანოზმა მამა ხელიძემ.

*** გუშინ, 5 მარტს, ტფილისში დაასაფლავეს კავკასიის გზათა ოლქის უფროსად ნამყოფი ტაინი სოვეტნიკი ბ. ი—ძე სტატკოვსკი, მიცვალებულის გვამი იალტიდგან მოასვენეს. წირვასა და ანდერძის აგებას ფრანგთა კუკიის ეკკლესიაში დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, გენერალი კავალერიისა თავ. ი. გ. ამილახვარი, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, გენერლობა, კავკასიის გზათა ოლქისა, რკინის გზის და ყარსის გზის ინჟენრები, რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლენი და დიდ-ძალი ხალხი. განსვენებულის გვამი სოლოლაკის სასაფლაოზედ დაასაფლავეს.

*** 16 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე გაზ. „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორისა ბ-ნ ხაჩატუროვისა, რომელსაც მაზრის უფროსად ნამყოფმა რაფიბეგოვმა უჩივლა, გაზეთით ცილი დამწამაო.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე დაამთავრა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მამულდედულის განწეს-რიგების პროექტი. სამინისტროს კავკასიის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი 9 მარტს ჩამოვა ტფილისში.

*** გაზ. „კავკასს“ ატყობინებენ, რომ მაჰმადიანთა 6000 ოჯახმა, რომელნიც განჯის გუბერნიაში სცხოვრობენ, მიჰმართეს ოსმალეთის [illegible] გვეცით სამუდამოდ ოსმალეთში გადმოვსახლდეთო. ოსმალეთის მთავრობა თანაგრძნობით მიეგება ამ თხოვნას და პეტერბურგში მყოფ თავისს ელჩს მიანდო ამ საქმის შესახებ შუამდგომლობა რუსეთის წინაშე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსთხოვა ამ საქმის შესახებ საჭირო ცნობანი კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიას.

*** გორის მაზრის უფროსმა გამოუცხადა ამ მაზრაში მცხოვრებ ზოგიერთა „დუხაბორებს“, რომ თქვენი თხოვნა ამერიკაში გარდასახლების შესახებ შეწყნარებულ იქმნა მთავრობისაგანაო.

*** გაზ. „Свѣтъ“-ი სწერს: ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში სამამულო გარდასახადი გარდაჰხდეს იმ მამულებსაც, რომლებიც ქალაქსა, ხაზინასა და საუფლისწულო დაწესებულებას ეკუთვნისო.

*** „მშაკს“ ატყობინებენ ქ. ნახიჩევანიდგან (ერევნის გუბ.), რომ 17 თებერვალს ტმბულის სასოფლო საზოგადოებას წინადადება მისცა პოლიციამ სასოფლო ბანკი დაიარსეთო. საზოგადოების 1,000 კომლი მცხოვრებელი სომხების და თათრებისაგან შესდგება. მაშინვე შედგენილ განაჩენით ყოველმა კომლმა 3 მანათი უნდა შეიტანოს და ამ გვარად ძირის თანხად 3,000 მან. მოგროვდება. ბანკის დაარსებაში კერძო კაცთაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ და შეტანილ თანხის კვალობაზედ 4% მიეცემათ. ბანკი 8%-ად გასცემს სესხად ფულს. ბანკის მმართველობა და სამმართველოს წევრების არჩევნის საქმე გლეხების ხელში იქმნება. ხაზინადარი არჩეულ უნდა იქმნას 3 წლით და წევრები-კი თითო წლით.

*** [illegible] ულ საზოგადოების სასარგებლოდ ამავე საზოგადოების ქუთაისის განყოფილება სამუსიკო და სალიტერატურო საღამოს გაჰმართავს 15 ან 17 მარტს ქ. ქუთაისში. საღამოს გამგედ კნ. ც. ნ. ერისთავი იქმნება. სხვათა შორის წარმოდგენილ იქმნება რუსულად ვოდევილი, ქალებისა და კაცების ხორო იმღერებს ქართულ სიმღერებს, არტისტი ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი წაიკითხავს „შეშლილის წერილებს“ რუსულად და დადგმულ იქმნება ახალი სურათები „ვეფხვის ტყაოსნიდგან“. იმედია, ქუთაისის საზოგადოება ჯეროვანის თანაგრძნობით მიეგებება ამ საღამოს.

*** ს. ჭანჭათი, (გურია). 22 თებერვალს, წირვის შემდეგ აქაურმა მღ. ლ. წულაძემ მრავლად თავ-მოყრილის ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გარდაიხადა მეფე-გმირის ერეკლე II სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინად მღვდელმა დამსწრე საზოგადოებას აუხსნა და განუმარტა ვინაობა მეფე ერეკლესი და ის საშვილიშვილო ღვაწლი, რომელიც ამ გვირგვინოსანმა დასდო შთამომავლობას. ეს სიტყვა ისეთის გრძნობით იყო წარმოთქმული, რომ ბევრმა ცრემლი ვერ შეიმაგრა.

*** ს. სარო, (ახალქალაქის მაზრა). მეფე ერეკლეს დასაფლავების დღეს, 22 თებერვალს, სწირა მღვდელმა მ. სოლომონ უსტიაშვილმა, წირვის შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და განუმარტა ხალხს, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მეფე ერეკლეს მთელის საქართველოს წინაშე, ამასთანავე მოახსენა ხალხს ასპინძის ომი, სადაც მან საკვირველი სიმამაცე, გამოცდილება, თავდადებულება და გმირობა გამოიჩინა. დიდის სიამოვნებით მოისმინა ხალხმა ეს სიტყვა. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მოხუცებულნი სტიროდნენ და ავედრებდნენ ღმერთს დიდებულის მეფის სულს.

*** სოფ. ოზაანი, (სიღნ. მაზ.). კვირას, 22 თებერვალს, საქართველოს დიდებულის მეფის ერეკლე მეორის გვამის დაკრძალვიდგან ასის წლის შესრულების დღეს, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. მწირველმა მღვდელმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა ხალხს დიდებულის მეფის ვინაობა, გმირობა და თავ-დადება სარწმუნოებისა და მამულისათვის. ხალხი ბლომად დაესწრო წირვასა და პანაშვიდს, შეავედრა მისი სული უზენაესს და ნაღვლიანი დაიშალა.

*** 2 მარტს, ღამე, სამეურნეო საკაშრო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა დაათვალიერა ტფილისის ქუჩების ფარნები და აღმოაჩინა, რომ მეტი ნაწილი ამ ფარნებისა ჩამქრალი იყო, ხოლო დანარჩენთ პატრუქები ჩაწეული ჰქონდა, ასე რომ ძლივსა ბჟუტავდნენ. ამის გამო გამგეობამ დაადგინა დაეჯარიმათ იჯარადარი კართსნიანცი, რომელსაც ქუჩების განათების საქმე აქვს აღებული, 160 მანეთით.

*** მკითხველებს ახსოვთ, რომ ამ დღეებში გაჰქურდეს ვანქის ეკკლესია. ზოგიერთა ნაქურდალი ნივთები პოლიციამ აღმოაჩინა ნათლუხსისაგან მიმავალ ქუჩაში იპოვა. პოლიციამ ამ საქმის გამო დააპატიმრა ტფილისის მოქალაქე არუთინოვი, რომელიც ამ გვარივე ქურდობისათვის ამ რამდენისამე წლის წინად ოლქის სასამართლოს მიერ სამის წლით იქმნა გაგზავნილი პატიმართა რაზმში. ამ სასჯელის გარდახდის შემდეგ არუთინოვი დასახლდა ჯერ ბათუმში, საიდგანაც გაგზავნილ იქმნა ფოთში, შემდეგ ქუთაისში და ბოლოს სად. აქსტაფაში. ქურდობის ჩადენის წინა დღეს არუთინოვი აქსტაფიდგან ტფილისში ჩამოვიდა მამასთან, რომელიც ვანქის მახლობლად სცხოვრობს. არუთინოვი უარს ამბობს, რომ ქურდობა მე არ ჩამიდენიაო, მაგრამ იმას კი არ ამბობს, თუ იმ ღამეს სად იყო, როდესაც ვანქის ეკკლესია იქმნა გაქურდული.

---

შემოვიდა მეორე დედაკაცი, ახალგაზდა, რომელსაც ეტყობოდა უფროსი ელოდდებოდა, რადგანაც სადგურს რომ მივუახლოვდით, ფანჯარასთან დადგა და ხელსახოცით ანიშნებდა: აქა ვარ, აქ მოდიო. ქალებმა ერთმანერთს გადაჰკოცნეს, (ეს ხომ ჩვეულებადა აქვთ) და მოჰყვნენ ლაპარაკს. ახლად შემოსული ქალი ჯერ დაბალის ხმით ლაპარაკობდა, უეჭველია, იმიტომ, რომ მე არ გამეგონა, მაგრამ მეორემ ხმა მაღლა უთხრა:

— ნუ აქცევ ყურადღებას. ეგ ყრუა და თანაც მუნჯი, ასე რომ ისე თავისუფლად შეგვიძლიან ვილაპარაკოთ, როგორც ჩვენს საკუთარს სახლში.

ახლად მოსულმა ჯერ ცნობის მოყვარეობით შემომხედა, მაგრამ მერე თავიანთ საქმეზე გააბეს მასლაათი.

შემდეგი სადგური რეგბი იყო. დედაკაცებმა ჯერ ეხლავე ისეთ რამეებზე დაიწყეს ლაპარაკი, რაზედაც არას დროს არ დასძრავდნენ კრინტს უცხო მამაკაცთან, რომ დარწმუნებულნი არ ყოფილიყვნენ, არაფერი ესმისო. ძნელი წარმოსადგენი იყო, რაზედ არ დაიწყებდნენ ლაპარაკს, რაკი ვაგონში ერთის ყრუს და მუნჯის კაცის გარდა არავინ ეგულებოდათ. ამ გვარად სრულებით უნებლიად გადავიქეცი ჯაშუშად და არც შემეძლო ამ უსიამოვნო მდგომარეობისაგან თავი დამეხწია. უთხრა, რომ ყველაფერი მესმის, რასაც ლაპარაკობენ? მერე რას იფიქრებენ, რათ დაგვარწმუნა, რომ ყრუ და მუნჯი ვაროო? მაშინ ხომ ან გიჟად ჩამთვლიან ან ავაზაკად. არც ერთი იყო ჩემთვის კარგი და არც მეორე. გარდა ამისა, ახალ-გაზდა ქალი ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მოხდენილი, სასიამოვნო, რომ ვერ გავბედე მეწყენინებინა ამ სიტყვების თქმით:

— მე არც ყრუ ვარ და არც მუნჯი. თქვენის ლაპარაკიდგან არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენია, ყველაფერი კარგად გავიგონე.

არა, სრულიად არ შემეძლო ასე სასტიკად მოვქცეულიყავ. ამიტომ მეტი გზა არ იყო, ისევ გაზეთის კითხვას შევუდექი და ვსცდილობდი, იმათი ლაპარაკი არ გამეგონა.

ცოტა ხანს შემდეგ მაინც უნებურად მოვკარი ყური იმათს ლაპარაკს, თუმცა, ღმერთს გეფიცებით, სულ იმის ცდაში ვიყავი, რომ არაფერი გამეგონა. მაგრამ რა მექნა, როდესაც უნებურად ჩემი გვარი გავიგონე. უფროსი ეუბნებოდა უნცროსს:

— ხომ ხედავ, —სთქვა მან, — დღეს უეჭველად შინ უნდა დავბრუნებულიყავ, რადგანაც ჯონმა მოინდომა იმ სულელ ჯონსტონის დაპატიჟება და ამიტომ არ უნდოდა, რომ მე ამ დროს სახლში არა ვყოფილიყავ.

— რა იცი, მამიდავ, რომ სულელია? ჯერ ხომ არც-კი გინახავს? იკითხა ახალგაზდა ქალმა.

— რა ვიცი და, ჯერ ერთი, ჯონსტონის ყველა მეგობრები სულელები და ბრიყვები არიან, ხანდახან ასე მგონია, რომ განგებ არჩევს სულელსა და ჩერჩეტ კაცებს და შინ ეპატიჟება, რომ სიცოცხლე მომიწამლოს. მეორეც, ჯონსტონის ნაწერები წამიკითხავს და გარწმუნებ, რომ ისეთი სისულელე ჩემს სიცოცხლეში არსად შემხვედრია.

— მოხუცია, თუ ახალგაზდა?— იკითხა ისევ უნცროსმა ქალმა.

— არ ვიცი, ღმერთმანი. ის კი ვიცი, რომ უცოლოა, რადგანაც ისეთს სულელს კაცს ცოლად არავინ გაჰყვებოდა.

— მერე რას იტყვით, რომ მე გავყვე ცოლად?—სიცილით უთხრა ახალგაზდამ. მე ძლიერ მომწონს ისეთი კაცები, რომლებიც არავის უყვართ. რას მომცემთ, მამიდავ, რომ ჯონსტონი მოგაცილოთ, ვიდრე ის გრინკოფტში იქმნება, რომ თქვენ თავი არ მოგაბეზროსთ.

— დიდი მადლობელი ვიქნები, — უპასუხა მამიდამ, —ასეთს შეუფერებელს დროს სტუმრად მოსვლისათვის თავისს სიცოცხლეში ვერ აარჩევდა. ვფიქრობდი, ორშაბათამდე ქალაქში დავრჩენილიყავ და მერე სახლის ალაგება დამეწყო. იმის წილ დღესვე შინ მივდივარ და ვიდრე ის ოხერი ჯონსტონი იქ ეგდება, სახლის დალაგებას ვერ მოვახერხებ. ღმერთმა იცის, როდის წაეთრევა. მგონია, ისეთი კაცი არ უნდა იყოს, რომ თითონ მიხვდეს, მასპინძლებს ვაწუხებ და დრო არის, ეხლა კი წავეთრიოვო. ვინ იცის, შეიძლება ისიც ეხლა ამ მატარებლით მოეხეტებოდეს.

ამ გვარად აღმოჩნდა, რომ მე და სკობლის მეუღლე ერთად მივდიოდით და ჩემის მეგობრის ცოლი ჯავრობდა, ჩვენთან რად მოდისო. ეხლა ეს მიბძანეთ, რას იტყვის პატივცემული ქალბატონი სკობლისა, როდესაც გრინკროფტში მივალთ და იქ გაიგებს, რომ ის ყრუ და მუნჯი კაცი სწორედ მისი სტუმარი ჯონსტონია და რაც იმაზე გზაში ილაპარაკა, ყველაფერი კარგად გაუგონია? რაღა თქმა უნდა, ეხლა ვერც სახლში გავბედავდი სკობლთან მისვლას და ვერც ჩემს ვინაობას გავამჟღავნებდი. ერთიღა გზა იყო ამ უსიამოვნებისაგან თავის დახსნისათვის. რეგბის სადგურზედ რომ მივიდოდით, უნდა გამოვსულიყავი მატარებლიდგან და შემეტყობინებინა დეპეშით ჯონისთვის, რომ მეტად საჭირო ð მოულოდნელ საქმისა გამო ჩემი მოსვლა ამ ჟამად ვერ მოხერხდა და დიდადა ვსწუხვარ, რომ ის სიამოვნება, რომელსაც ვიგრძნობდი მე ჩემის მეგობრის ნახვითა და იმის მეუღლის გაცნობით, სხვა დროისათვის უნდა გადამედვა. მაგრამ საკ-ვოიაჟისათვის რაღა მექმნა, რომელიც საუბედუროდ გრინკროფტის სადგურამდე მქონდა მიბარებული და მხოლოდ იქ მომცემდნენ. მერე ეშმაკად ამ საკ-ვოიაჟში ხელთ-ნაწერი მქონდა ჩემის ახალის მოთხრობისა, რომელიც იმავ კვირას უნდა დამემთავრებინა და განგებ თან წამოვიღე, რომ იქმნება სოფელში დავამთავრო მეთქი. მეტი გზა არ იყო — უნდა წავსულიყავ გრინკროფტამდე და იქ გამომერთმია ჩემი საკ-ვოიაჟი, თუნდაც რომ თვით ჩემი მეგობარი სკობლი დამხვედროდა სადგურზე. ხოლო ქალბატონ სკობლისა და მისის ძმისწულისაგან თავის დახწევა რეგბის სადგურიდგანაც შემეძლო. საჭირო იყო მხოლოდ იქ სხვა ვაგონში ჩავმჯდარიყავ. რეგბის სადგურამდე კიდევ ერთის საათის სავალი იყო და ამ ერთის საათის განმავლობაში მმართებდა მხოლოდ მოთმინება.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ წევრთა საზოგადო კრება.

ოთხშაბათს, 4 მარტს, დიდის მოლოდინის შემდეგ საზოგადო კრება იყო „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“. კრებას ძლიერ ნაკლებად დაესწრო ხალხი, ეტყობოდა, რომ წევრთ ამხანაგობისას უკვე გაციებული აქვთ ამ საქმეზედ გული. კრების თავმჯდომარედ დასახელებულ იქმნა რამდენისამე კაცისაგან ბ-ნი ნიკ. ვას. მთვარელიშვილი.

უპირველესად აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაეთხოვნათ დარბაზიდგან ორად ორი არა წევრი, გარეშენი, წარმომადგენელნი გაზეთებისა. კრებას არა ჰსურდა იმათი დათხოვნა. გასინჯეს წესდება და, რა დარწმუნდნენ, რომ წესდებითაც არ აღეკრძალებათ მათ კრებაზედ დასწრებაო, სთხოვეს თავმჯდომარეს, მიენდო თვით კრებისათვის ამ საგნის გარდაწყვეტა. ხოლო თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან გამგეობა წინა წლების წესისამებრ მოქცეულა ამ შემთხვევაში და გაზეთებშიაც წინადვე გამოუცხადებია, ამისათვის დათხოვნილ უნდა იქმნენო, და დაითხოვეს კიდეც.

შემდეგ შეუდგნენ წლიურის ანგარიშების განხილვას. წარმოდგენილი იყო ანგარიში 1895 და 1896 წლისა, მაგრამ ეს ანგარიშები არ იყო სრულიად შემოწმებული და განხილული სარევიზიო კომისიისაგან. კრებამ უპირველესი ყურადღება მიაქცია, რასაკვირველია, ამ გარემოებას და ამავე გარემოებამ დიდი ბაასი გამოიწვია გამგეობისა და სარევიზიო კამისიის წევრთა შორის: ერთი მეორეს სდებდა ბრალს და ორივენი თავს ჰმართლულობდნენ. წაკითხულ იქმნა ამ ბაასის დროს ერთი განაჩენი სარევიზიო კამისიისა, საიდგანაც ცხადად სჩანდა შემდეგი: სარევიზიო კამისიას არა ერთხელ უთხოვნია გამგეობისათვის დაეჩქარებინათ ანგარიშები და დრო-დროზედ წარედგინა საზოგადო კრებისათვის; გამგეობა-კი არა თუ ყურსაც არ იბერტყავდა თურმე, არამედ პასუხის ღირსსაც არა ჰხდიდა კამისიას, რის გამოც კამისია იძულებულ შექმნილიყო თავისს თანამდებობაზედ უარი განეცხადებინა და სთხოვდა გამგეს, მოეწვია ახალი სარევიზიო კამისიის ასარჩევად საგანგებო საზოგადო კრება.

კრებამ, მოისმინა-რა ყოველივე ესე, უარ-ჰყო ანგარიშების განხილვა და შეუდგა ახალის სარევიზიო კამისიის ამორჩევას, რომელმაც უნდა განიხილოს ამ ამხანაგობის საქმე დაარსებიდგან დღევანდლამდე და წარმოუდგინოს თავისი უტყუარი განაჩენი საზოგადო კრებას აპრილის ნახევრის არა უგვიანესს. კამისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ი. ა. მანსვეტოვი, პ. რ. უიფიანა და კონსტანტინე მესხიშვილი და მათვე ნება მიეცათ მიიწვიონ თვით ზოგიერთი საქმის მცოდნენი, თუ საჭიროდ დაინახავენ.

## წერილი გარეთ კახეთიდგან.

მთელი საქართველო რომ დაიაროთ, სოფლებს ვერსადა ჰნახავთ, რომლებსაც ისეთი დიდი სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები ჰქონდეთ, როგორც გარეთ კახეთის სოფლებსა აქვთ. უჯარმიდგან დაწყებული მთელი გარეთ კახეთის ბოლომდე მდინარე ივრის გაღმა-გამოღმა მხარეს მშვენიერი სახნავ-საძოვარი ადგილებია. ყარაიის მომიჯნავე ადგილები, სახელდობრ: ქაცვიანი, ქვაკაცა, საყულიანი, მაყვალ-წყალი, ნაცვალ-წყალი, დემურდალი, გარეჯელა და სხ. სათიბ-საძოვრებით გათქმულია და არამც თუ იმ სოფლებსა ჰყოფნით, რომლებსაც ეკუთნის, არამედ ამ ადგილებში უცხო სოფლების საქონელსაც აყენებენ ფასით. ამ ადგილებმა უფრო ბალახი იცის და მისი თივა კარგის თვისებისაა. გარეთ კახეთში პურიც კარგი იცის. სართიჭალისა და პატარძეულის პური ადგილობრივ პურებში გათქმულია.

ამ აღწერას ისიც რომ დავუმატოთ, რომ გარეთ კახეთის ბაზარი ადგილები, სახელდობრ: ტფილისი და სიღნაღი ძალიან შორს არა აქვს, მკითხველს ეგონება, რომ გარეთ კახეთის ხალხისთანა მდიდარი ხალხი, არამც თუ საქართველოში, მთელ დედა-მიწაზედაც არ იქნებაო. ნამდვილად-კი ასე არ არის: გარეთ კახეთის ხალხი ისე ღარიბია, რომ მომეტებული ნაწილი ამ ხალხისა წლითი წლობამდის სახელმწიფო ხარჯისა და სხვა სასოფლო წვრილ გარდასახადსაც ძლივს ძლივობით იხდის.

აქამდის აქაურს სოფლებს: ნინოწმინდას, საგარეჯოს, გიორგი წმინდასა და ანთოკს მამულები გაუყოფელი აქვთ. რადგან მამულების საერთო მფლობელობის წესები რიგიანად ვერ შეიმუშავეს, ამისათვის ბევრი უწესრიგობა და უსამართლობა ჰსუფევდა ამათში. რაკი მამულები საერთო იყო, ვინც სად მოიწადინებდა ხვნას, იქ უნდა ეხვნა; ვიცნ სად მოიწადინებდა თიბვას, იქ უნდა ეთიბნა, ვინც სად მოიწადინებდა საქონლის ძოვებას, იქ უნდა ეძოვებინა. გავიდოდნენ ერთის სოფლის მხვნელები მიწების სახნავად და სადაც მიეწონებოდათ, იქ დაუწყებდნენ ხვნას. ამათ მიუცვივდებოდნენ მეორე სოფლელები და დაუწყებდნენ ჩხუბს. „აქ ჩვენ უნდა გვეხნა და თქვენ რად გამოგიტანიათ გუთნები-“ო, „წინად ჩვენა ვხანით იქ, წელსაც ჩვენ უნდა ვხნათ“-ო და სხ. პირველები ამათ არაფერს დაუთმობდნენ, მოუვიდოდათ ჩხუბი, ასტყდებოდა სახრეებისა და ჯოხების ტრიალი, დაამტვრევდნენ ერთმანეთს თავ-პირს და გუთნები-კი ორივე მხარეს უცდებოდათ. გავიდოდნენ მეორე სოფლელები სახნავად, ახლა ამათ პირველნი, ან სხვა სოფლელები აუტეხავდნენ ჩხუბს, ერთმანეთს თავ პირს ამტვრევდნენ და გუთნეკი-კი უცდებოდათ. ბოლოს ეს მიწები იმათა რჩებოდათ, რომლებიც ჩხუბში იმარჯვებდნენ. საერთო მამულების მფლობელობაში ერთი სოფელი მეორეს ჰმტრობდა და სჩაგრავდა, მეორე მესამეს და სხ. ამასთან ერთსა და იმავე სოფელში მცხოვრებნიც ერთი მეორეს სჩაგრავდა, მეორე მესამეს და სხ. საქონლიანი და შეძლებული კაცი თავისთვის ირჩევდა საუკეთესო მიწებს სიმარჯვისთვის ახლოცა, და, რა თქმა უნდა, თავისთვის პირველადაც იხნავდა, ხოლო უწყალოსა და უსაქონლოს სხვარიგად დროზედ მოისამსახურებდა და ამ სამსახურში ულალო მიწებს უდროვო დროსაც შორსაც უხნავდა; ამ რიგად ღარიბ-კაცს მოსალოდნელზედ ნაკლები მოსავალი მოსდიოდა და უფრო მიწასთან სწორდებოდა.

ამავე სოფლებში აზნაურების მამულებიც გლეხების მამულებში იყო არეული და ესენიც უწეს-რიგოთა ჰხმარობდნენ ამ მამულებს, მაგრამ შარშან ზაფხულში ბოლო მოეღო ამ უწეს-რიგობას. მთავრობის გამოგზავნილმა მიწის მზომავმა გამოიკვლია მონაწილეობა ყველა აზნაურისა და ყველას ცალკ-ცალკე მიუზომა ადგილები. მხოლოდ გლეხებს-და დაჰრჩათ მინდვრის მამულები გაუყოფელი. როგორც გავიგე, ზემორე აღნიშნულ სოფლებს უთხოვნიათ, სადაც ჯერ არს, და ნება აუღიათ მინდვრის მამულების სოფლეურად გაყოფისა. მიწების გასაყოფად მაზრის უფროსის თავად ლ. ჯანდიერის რჩევით ამოურჩევიათ კეთილ-საიმედო მიწის მზომელი ბ-ნი უთნელიშვილი, რომელსაც ეს სოფლები თავიანთის ხარჯით იწვევენ მამულების გასაყოფად მომავალს ზაფხულში. იმედია, ბ-ნი უთნელიშვილი ნინოწმინდას, საგარეჯოს, გიორგიწმინდასა და ანთოკს ისე გაუყოფს მინდვრის მამულებს, რომ მათ შორის საუკუნოდ მოისპობა ჩხუბი, დავიდარაბა და მტრობა.

კარგი იქნება ამ სოფლებს მამულების გაყოფაში მიჰბაძონ გარეთ კახეთის იმ სოფლებმაც, რომლებშიაც საერთო მამულების უწეს-რიგო ხმარებით ჩხუბი და დავიდარაბა იშვიათი არ არის.

ლ. მ.

# რუსეთი

—

ამ ჟამად სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ კასსების სამმართველოში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სამინისტროს ქვემდებარე სასწავლებლებში ისეთივე შემნახველ-გამსესხებელი კასსები დაარსდეს, როგორიც საფრანგეთსა და გერმანიაშიაო.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ნორმალური დებულება შეიმუშავოს სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა საზაფხულო კურსების გამართვის შესახებ.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ რეალურ სასწავლებლების მე-VII დამატებით კლასში შეიძლება ის გარეშენიც იქმნენ მიღებულნი, რომელნიც ექვს კლასის კურსის ცოდნაში გამოცდის შემდეგ საშუალო რიცხვით ნიშანი სწავლისა 3 ეყოლებათ და არა უთუოდ $3^1/_2$, როგორც 1895 წელს შემუშავებულ წესებით არის დადგენილი.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული საზღვარ-გარეთ გასაგზავნ კორრესპონდენციებზედ საფოსტო გარდასახადის დაკლების შესახებ.

— ამ მარტს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება გაიმართება ქ. პეტერბურგში.

— ამ ახლო მომავალში შესაფერი დაწესებულება განიხილავს იმას, რომ ნება მიეცეთ არა ფარმაცევტთაც დააარსონ აფთიაქები ქალაქებსა და სოფლებში იმ პირობით-კი, რომ აფთიაქის მმართველად ფარმაცევტი იქმნას დანიშნული.

# უცხოეთი

—

**ჩინეთი და ევროპის სახელმწიფოები.** გაზ. „Times“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან:“ რუსეთი თხოულობს, რომ ჩინეთმა პორტ-არტური და ტალიენვანი რამდენისამე წლით დაუთმოს. ამის გარდა რუსეთი თხოულობს, რომ ნება მომეცი იმავე პირობებით რა პირობითაც მანჯურიის რკინის გზის გაყვანა არის აღებული, ახალი რკინის გზა გაეიყვანოს პეტუნიდგან პორტ-არტურამდეო. მორიგება ერთის თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. ამასთან რუსეთი დაემუქრა ჩინეთს, თუ უარსა ჰყოფ და არ აღასრულებ ჩემს სურვილს მანჯურიის ჯარის შემწეობით დავიპყრობო“.

— ამასვე შესახებ ,,რეიტერის სააგენტო“-ს პეკინიდამ ატყობინებენ: „რუსეთის მოთხოვნილებებმა დიდად აადელვეს პეკინში მყოფი იაპონიის მისია. ამბობენ; რომ იაპონიის ელჩს რამდენჯერმე ჰქონდა მოლაპარაკება ამის შესახებ ცუნგ-ლი-იამენთანაო. ელჩმა სთხოვა, რომ უარ-ჰყავით რუსეთის მოთხოვნილებანიო. ყველა საპოლიტიკო მოღვაწენი, რომელთაც-კი კარგად იციან საქმის ვითარება შორეულ აზიაში, იმ აზრის არიან, რომ ჩინეთის საქმემ მეტად სერიოზული მიმართულება მიიღოო. საეჭვოა, რომ, კიდრე რუსეთს პორტ-არტური უჭირავს, იაპონიამ განათავისუფლოს კვიხა-ვეი და თავის ჯარი გაიყვანოს იქიდგანაო“.

— გაზ. ,,Berliner Tageblatt“-ი სწერს: ,,რუსეთის მიერ პორტ-არტურის დაჭერისა და მანჯურიისა და ციმბირის რკინის გზის შეერთების შემდეგ, კორეის ორსავ მხარეს რუსეთის ორთავიანი არწივი აეუფლდება. რუსეთის პოლიტიკა თვალს არ აშორებს კორეის და ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ სახელმწიფოს, ადრე თუ გვიან დაიმორჩილებსო“.

—

**იტალია.** გამოჩენილის მოღვაწის კავალოტის სიკვდილს მთელი იტალია ჰგლოვობს. პარლამენტმა რვა დღით შესწყვიტა კრებები და შენობაზედ სამგლოვიარო ბაირაღი გამოჰკიდა. გარდა ამისა განსვენებულის კუბო ბრინჯაოს გვირგვინით შეამკო და კავალოტის სამშობლო ქალაქს კონტომორის სამძიმარი გამოუცხადა. სტუდენტების თხოვნით რომის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა ორის დღით შეაჩერეს. იტალიის ყველა ქალაქსა და სოფლებში სამგლოვიარო ბაირაღები გამოჰკიდეს. განსვენებულის გვამის სადგურმდე გასვენების დღეს რომის ყველა მაღაზიები და დუქნები დაკეტილი იყო. კუბოს აუარებელი დეპუტაცია მისდევდა თავისის გვირგვინებითა და ბაირაღებით. ის ქუჩა, რომელზედაც განსვენებულის გვამი მიჰქონდათ, და ახლომახლო ქუჩები უთვალავის ხალხით იყო სავსე. განსვენებას დაესწრნენ ყველა მინისტრები და ის დეპუტატები, რომელნიც ამ დროს რომში იყვნენ. თანაგრძნობის დეპეშები იტალიის მთავრობამ თითქმის ქვეყნის ყველა კუთხიდგან მიიღო. მთავრობამ განაცხადა, რომ სახელმწიფო ხარჯით დავმარხავთ განსვენებულის გვამსაო, მაგრამ კავალოტის მეგობრებმა უარ-ჰყვეს ეს წინადადება. იტალიის ყველა გაზეთები, მიმართულების განურჩევლად, დიდის თანაგრძნობით იხსენიებენ განსვენებულს. კავალოტის სიკვდილის დღეს პარლამენტის პრეზიდენტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დიდად შეაქო განსვენებულის მოღვაწეობა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლა.

# დამაკვირდი

არ ვიცი, სადაური სათ მივალ, მრწამს-კი, რომ ღვთისაგან ვარ და ღვთისავე მივისწრაფი!

რუკკერტი

***

რომელს სარწმუნოებას ვაღიარებ?— არც ერთს იმათგანს, რომელიც შენ დაასახელე! — რადა? — იმიტომ - რომ მრწამს, რწმუნებისავე ძალით.

შილერი

***

ბოროტად გიდავკვდ საზღვართა: და შეკრიე სახლი სახლსა, და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა მიგხვეჭე ნაწილი მათი, და კიდეწოდი უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოდ გმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა.

წმ. დავით აღმაშენებელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სახელ-განთქმული არტისტი ქალი ადელინა პატტი ძლიერ შეწუხდა თავისის ქმრის ერნესტ ნიკოლინის სიკვდილისა გამო. ამ ჟამად მწუხარება სახელოვანის არტისტის ქალისა თანდათან ნელდება. ადელინა პატტი ერთობა ქსოვა-ქარგვით. ამას წინად მან მოქარგა სახე თავისის სასახლისა. გარდა ამისა ადელინა პატტი გულ-მოდგინედ ლოცულობს. თუმცა ადელინა პატტი ძლიერა სწუხდა ქმრის სიკვდილის გამო, მაგრამ იმის სილამაზეს არაფერი დაჰკლებია. პატტის ეხლანდელი სურათი რომ ჰნახოს კაცმა, სულ 28 წლის დედაკაცი ეგონება, თუმცა ამ ჟამად პატტი ერთიორად მეტის ხნისა არის. მართალია, პატტის სურათებს მისი საკუთარი ფოტოგრაფი იღებს, მაგრამ ვისაც უნახავს ეს არტისტი დედაკაცი, ყველა გაკვირვებულია მისის სილამაზით. ერთი ჟურნალისტი სწერს, ნამდვილად გავიგე პატტის სილამაზისა და ახალგაზდობის საიდუმლოო და აი რას ამბობს:

„ყველაზე უწინ ის უნდა მოვიხსენოთ, რომ ადელინა პატტის სწორედ რომ შესანიშნავი ხასიათი აქვს, ჯავრსა და დარდს ახლო არ იკარებს და ძლიერ მყუდროდა, მოსვენებით და მხიარულადა სცხოვრობს, ეს ყველა წამალზედ უკეთესია. აი დაწვრილებით, როგორ სცხოვრობს პატტი და როგორ ატარებს დროს. დილის 9 საათზედ დგება და იმ წამსვე ბანაობს, მერე საუზმობს. საუზმედ მოაქვთ ქათმის წვენი და მწვანილეული. ხანდახან ამას გარდა სჭამს კვერცხსა და ხილს: ვაშლსა, ყურძენს და ქლიავს; სხვა რამ ხილს პატტი არა სჭამს, რადგანაც მისის აზრით სხვა რამ ხილი მაწყინარია სილამაზისათვის. საუზმის შემდეგ პატტის ამერიკელი ქალი სახესა და ყელს უზელავს, გარდა ამისა პატტი ისეთს წამლებსა ხმარობს სახის კანისათვის, როგორსაც თვით პრინცესა უელსისა, რომელიც განთქმულია აგრეთვე თვისის სილამაზით. პატტისა და პრინცესას ხშირადა აქვთ მიწერ-მოწერა ამ წამლების შესახებ. ზემოხსენებულ ამერიკელ ქალის გარდა, პატტი არც ერთს მოახლეს ახლოს არ იკარებს და თმასაც-კი არავის ავარცხნინებს. ხშირად მომხდარა, რომ წარმოდგენის დროს პატტის ძლიერ დაჰგვიანებია სცენაზედ გამოსვლა და ანტრაქტი მეტად გაჭიანურებულა იმის გამო, რომ არავის აძლევდა ნებას თმის დავარცხნისას და თითონ ივარცხნიდა.

„$12^1/_2$ საათზედ პატტი მეორედ საუზმობს. საუზმედ მიუტანენ ხოლმე წვენსა, ლოკოკინას ან თევზს, ცოტა მწვანილსა და რძეს. საუზმის შემდეგ პატტი სვამს

ერთს ფინჯანს კოკს ან ერთს ჭიქა სასმელს, რომელსაც სახელად ეწოდება Sect. სადილად პატტი სჭამს წვენსა, ოღნავ შემწვარს ხორცს, მწვანილს, მოშაქრულს ბრინჯსა ან ყველს, ან ტკბილეულს. წითელს ღვინოს პატტი არას დროს არა სვამს, ხმა არ წამიხდესო. პურს სრულებით არა სჭამს და არც წყალსა სვამს. ხოლო იმ დღეებში, როცა სცენაზედ მღერის, ცოტა ყავასა სვამს ხოლმე. მომეტებულს ყავას-კი მხოლოდ მაშინა სვამს, როცა ახალს როლს ამზადებს და ძლიერ იღლება, მაშინ, როგორც ვოლტერი, ბალზაკი ან ნაპოლეონი, ყავას მომეტებულად ეტანება, რომ ძილი დაეკარგოს. ერთი ღირსებაცა აქვს პატტის: ძილი ყველგან, ყოველთვის, და რამდენ ხანსაც ჰსურს, იმდენ ხანს შეუძლიან—შინ, გზაში, ვაგონში, სუფთა ჰაერზე, თეატრის მოსართავ ოთახში. პატტის საწოლ ოთახში ფანჯარა მთელ დღეს ღია არის ხოლმე და მხოლოდ ღამე იკეტება. დაძინების დროს პატტი კისერსა და კეფას სპირტით ისველებს და ამბობს, ამ სპირტის წყალობით არასოდეს სურდო არა მქონიაო.

„ამას ისიც უნდა დავსძინოთ, სწერს ჟურნალისტი, რომ პატტი არც ცხენით დადიოდა და არც ველოსიპედით. მისთვის სრულიად საკმარისია დღეში ერთის საათით სეირნობა ან ნახევარ საათით ბილიარდზე თამაშობა. ეს არის და ეს. როგორც მკითხველი თითონა ჰხედავს, პატტის სილამაზესა და ახალგაზდობის საიდუმლო მხოლოდ კარგი და წესიერი ცხოვრება ყოფილა და მეტი არაფერი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

„მეექვსე ნომერი“, ანუ „ხალიფის წინაღმდეგი“ ამბავი ილდიზ-კიოსკიდგან, იასე რაჭველისა. ფასი 30 კაპ. ავტორის სურვილით ამ წიგნის წმინდა შემოსავალი ეკუთვნის ღარიბ სტუდენტებს. ტფილისი, 1897 წელი.

ესე ამბავი—მოთხრობა ამოღებულია სტამბოლელ თათრების ცხოვრებიდგან, რომელსაც ავტორი იასე რაჭველი კარგად იცნობს. დიდის ინტერესით არის აქ მოთხრობილი სულთანის ჰარემის საიდუმლოები. თვით გმირი მოთხრობისა ნადირეხანუმ არის ერთი საცოლეთაგანი სულთანისა, ერთი იმ მსხვერპლთაგანი, რომელთაც წილად არგუნებს ხოლმე მუხთალი ბედი ჰარამხანაში ჩამწყვდევას. ჰარემში მრავალი განყოფილებაა; ერთში იზრდებიან პატარა ბავშვნი—ქალიშვილები. ამათ ასწავლიან უცხო ენებს, მუსიკას და სხვა. ხშირად სულთანი იბარებს მათ შესაქცევად. ესენი თამაშობენ, ჰგალობენ სულთანის წინაშე და ამ რიგადართობენ ოსმალეთის მბძანებელს. თავზედ ჰხურავთ კოხტა გარიბალდის ქუდები, რომელზედაც მიკრული აქვთ პაწია ნომრები, ყველას თავისი. ამ ნომრებით დაიბარებს ხოლმე სულთანი, რომელიც უნდა. ნადირეს ნომერი „მეექვსე“ იყო. აქედგან წარმოსდგა წიგნის სათაურიც „მეექვსე ნომერი“. წიგნი ჩინებულის ენით არის დაწერილი და გზა-და-გზა აცნობებს მკითხველს, გარდა ჰარემის ამბებისა, საზოგადოდ ოსმალოს თათრების ქალის შესახებს შეხედულობას, ქალის მდგომარეობას ოსმალეთში, მისს ზნე-ჩვეულებას, მისს სიყვარულს. „ქალი, ჩემო, დოსტო, იმიტომ არის გაჩენილიო, ამბობს ოსმალელი, რომ კაცს ასიამოვნოს, მისი მონა-მორჩილი იყოს და შვილი შობოს. ჯერ ერთი მაგალითი არ ყოფილა, ჩემის ორმოცის წლის სტამბოლში ცხოვრებაში, რომ რომელსამე მუსულმანს სიყვარულისათვის თავი მოეკლას. ჩვენ, თათრებს, ქალების სიკეთე არა გვწამს. მართალია, გვიყვარს ლამაზი გოგო, მაგრამ მხოლოდ ისე, როგორც კარგი და საჭირო ნივთი და არა ისე, როგორც თქვენ—ქრისტიანებს“.

აი მოკლედ შეხედულობა და აზრი თათრისა. იგი ამტკიცებს მხოლოდ, თუ რა განუვითარებელი და გონებით ბრმა ხალხია აქამდის ოსმალეთის თათრობა, თუმცა განათლებულ ევროპის მეზობლად სცხოვრობს. „მეექვსე ნომერს“ სიამოვნებით გადიკითხავს ყოველი ქართველი. წიგნაკს აუშნოვებს მხოლოდ ყოველს პოეზიასა და აზრს მოკლებული ლექსი:

„ასეა, ძმაო, დღეს ეს ქვეყანა
და ასევ იყო დაარსებიდგან,—
რომ სიმართლემდინ კაცის მიყვანა
მომდინარეობს ჯოჯოხეთიდან!“

აი ეს „მიყვანა მომდინარეობს ჯოჯოხეთიდგან“ ისე მოსწონებია ბ-ნს ავტორს, რომ ოთხჯერ ჩაუბეჭდია თავისს წიგნაკში: ორჯელ ყდაზედ და ორჯელაც შიგ წიგნში.

მე გახლავარ

## გამოსადეგი ცნობა

გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო, რომ იგი ჭია, რომელიც უჩნდება კამლის ხეს და კამლის ტილი ჰქვიან, შეიძლება მოიშოროს კაცმა, თუ ხე შემდეგის წამლით ჩამორეცხოთ. ერთს გირვანქას წეკოს დაასხით სამი თუნგი წყალიო, ორი-სამი დღე დასდგით და მერე იხმარეთო წამლად. უნდა ეს გვრე უნდა, ხოლო წეკოს „ადუღებული“ წყალი უნდა დაასხათ და არა ცივი.

## რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობიან?

ბ-ნი ძმუისელი ჰბრძანებს („ივერია“ № 34), რომ „водопадъ“-ი ქართულად უნდა ითარგმნებოდეს „მეჩხერა“-დაო. თუ „მეჩხერი“ ჰნიშნავს რუსულს „водопадъ“-სა, მაშ რაღას უნდა ჰნიშნავდეს: „შქერი, ანუ „ჩხერი“, „საჩხერე“ და „ჩხერიმელა“. ჩემის აზრით, რუსულის „водопадъ“-ის აღსანიშნავად და ზედ-გამოჭრილ სიტყვად უკეთესი იქნება ვიხმაროთ „ჩახრიალა“ (ქართლში გამიგონია) და „ჩაბარუხი“. ამ უკანასკნელს სიტყვას ჰხმარობენ მთიულეთში და ეძახიან იმ ადგილს ერთის მოზრდილის ხევისას, სადაც ხევის წყალი რამდენისამე საჟენის სიმაღლიდგან ეცემა ძირს.

ბლაღოჩინი-მღვდელი ზაქარია დავითაშვილი

# ანგარიში

ახალციხის ქართულის სახალხო წიგნთსაცავისა და სამკითხველოსი 1897 წლისა.

(შემდეგი *)

### ხელის მომწერთა ანგარიში

წლიურათ შემოიტანეს საწევრო ფული 29 კაცმა (26 ორ-ორი მანეთი, 3-მა თითო მანეთი). ნახევარ წლიური ხელის მომწერი იყო 20 კაცი, თვიურნი იყვნენ 71; ამათში 45 შემოიტანა თითო აბაზი, ხოლო 26 ორ-ორი შაური. ამათ გარდა, უფასოდაც ბევრნი იყვნენ.

ფასიან ხელის მომწერთა შორის იყვნენ: ქართველნი—97, რუსი—7, სომეხი—7, ბერძენი—5, პოლონელი—4; სულ—120; მართლ-მადიდებელნი—69, კათოლიკენი—47, გრიგორიანნი—4; სულ—120.

*) იხილე „ივერია“ № 47.

### დღიურ მკითხველთა ანგარიში.

1897 წლის განმავალობაში დღიური მკითხველი შემოსულა სამკითხველოში 3900 ჯერ; საშუალო რიცხვით დღეში მოდის 11—12 სული. დღიურ მკითხველთა შორის მანდილოსნები იყვნენ—294 ჯერ; სასულიერო წოდებისანი—240-ჯერ.

დღიურნი მკითხველნი განიყოფებიან:

1) ეროვნებით: ქართველი—3647 ჯერ

| | | |
|---|---|---|
| რუსი | 32 | „ |
| სომეხი | 107 | „ |
| ბერძენი | 42 | „ |
| პოლონელი | 72 | „ |
| სულ | 3900 | |

2) სარწმუნოებით: მართლ-მადიდებელი . . . 1464 ჯერ

| | | |
|---|---|---|
| კათოლიკე | 2346 | „ |
| გრიგორიანი | 90 | „ |
| სულ | 3900 | |

3) ხელობით: მასწავლებელი — 278 ჯერ

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლე | 940 | „ |
| მოხელე | 338 | „ |
| ხელოსანი | 96 | „ |
| ვაჭარი | 165 | „ |
| ნოქარი | 102 | „ |
| მემამულე | 126 | „ |
| ჯარისკაცი | 94 | „ |
| უსაქმურნი | 1761 | „ |
| სულ | 3900 | |

სხვა-და-სხვასთან ერთად რომ ვიანგარიშოთ, 207 კაცი იქნება.

დღიურმა მკითხველებმა წაიკითხეს სამკითხველოში წლის განმავლობაში, დაახლოვებით: „ივერია“, 1750 ჯერ, „კვალი“ 360 ჯერ, „ჯეჯილი“ 92 ჯერ, „მეურნე“ 15 ჯერ, „მოამბე“ 135 ჯერ, „კრებული“ 42 ჯერ, „ცნობის ფურცელი“ 1920 ჯერ, „ნოვოე ობოზრენიე“ 1354 ჯერ, „კავკასი“ 1591 ჯერ, „ნედელია“ 138 ჯერ, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ 164 ჯერ, „ბუდტე ზდოროვი“ 68 ჯერ, „ჟივოპისნოე ობოზრენიე“ 189 ჯერ და ისე წიგნი ქართული და რუსული 128 ჯერ. ყველა ზემოხსენებული გამოცემა გარდა „ჟივოპისნოე ობოზრენიისა“, „ჩერნომორსკი ვესტნიკისა“ და „კრებულისა“, ეგზავნება სამკითხველოს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისაგან. „ჟივოპისნოე ობოზრენიე“ გამოუწერა სამკითხველოს ბ-ნმა ა. პ. მაისურაძემ, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“—ბ-ნმა რ. ი. ალელიშვილმა, ხოლო „კრებული“ გამოიწერა თითონ სამზრუნველომ თავისის საფასით. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულს გამოცემათ ბევრად მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე რუსულს.

### წიგნების გატანის ანგარიში.

1897 წლის განმავალობაში სამკითხველოდგან გაუტანიათ სულ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 1405 ჯერ, 186 სხვა-და-სხვა, რომლებიც ეროვნებით განიყოფებიან ამ გვარად: ქართველნი 178, რუსი 3, სომეხი 3, ბერძენი 2; სარწმუნოებით: მართლმადიდებელი 73, კათოლიკე 111, გრიგორიანი 1; ხელობით: მოსწავლე 90, მასწავლებელი 10, მოხელე 17, ჯარის-კაცი 7, ვაჭარი 12, ხელოსანი 11, ნოქარი 8, მემამულე 9, უსაქმურნი 22. ამათ შორის მანდილოსანი იყო 87. წიგნები გაჰქონდათ ქართული და რუსული. საანგარიშო წელს ქართული წიგნები გაიტანეს 1029 ჯერ, ხოლო რუსული 376 ჯერ.

შინ წაღებული წიგნები განირჩევიან ამ გვარად: ლექსები, მოთხრობები და პიესები გაიტანეს 485 ჯერ; სახალხო და საყმაწვილო წიგნები 302 ჯერ; ისტორიული 183 ჯერ; ბიოგრაფია, სამეცნიერო წიგნები და დრო-გამოშვებითი გამოცემანი 435 ჯერ. ამ გვარად პირველი ადგილი გატანილ წიგნთა შორის, რიცხვის მხრივ, უჭირავს: ლექსებს, მოთხრობებს და პიესებს, მეორე: ბიოგრაფიას, სამეცნიერო წიგნებს და დრო გამოშვებითს გამოცემებს. ყველაზე ბევრჯელ წაღებულია ჟურნალები. ავტორთა შორის პირველობა უჭირავთ ი. ჭავჭავაძეს და ა. ყაზბეგს.

წიგნების ნაკლებულებას ძლიანა ვგრძნობთ, რადგანაც ძლიერ ბევრი წიგნი აკლია სამკითხველოს. ახალი წიგნებიც ვერ გამოუწერია სამზრუნველოს უსაშუალობისა გამო.

(დასასრული იქნება)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მარტი

**ვაშინგტონი.** ზღვათა დეპარტამენტმა გადასწყვიტა შეუდგეს ტორტუგასის კუნძულების გამაგრებას, ფლორიდისაკენ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. თუ ვინიცობაა ომამდე მივიდა საქმე, აქ იქმნება უმთავრესი სიმაგრე. განზრახვა აქვთ 63 გემი იყიდონ. გაზეთები ამბობენ, რომ კონგრესი პასუხს დაიცდის მომავალ კვირის სამშაბათამდე. თუ მოხსენება არ მოვიდა, ყუბას თავისუფლებას გამოაცხადებენ.

**კონსტანტინეპოლი.** ხმა დადის, რომ ილდიზ-კიოსკის დასაცველად დაყენებული ჯარი აჯანყდა. ზოგი კიდევ ამბობს, რომ ორ ჯარის შორის სისხლის ღვრა მოხდაო. წესიერება დამყრდა.

**პარიჟი.** დრეიფუსის ცოლმა მიჰმართა ლებონს და ნება რთვა სთხოვა, ქმართან გამიშვითო „ეშმაკის კუნძულზედ“. ლებონმა ამ თხოვნაზე უარი უთხრა.

**ბერლინი.** რეიხსტაგისა და მთავრობის შორის მორიგება მოხდა და ფლოტის შესახებ კანონის შეწყნარება უეჭველად მოხდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

1897 წელს თავადი ლუკა ბეგთაბეგოვის თაოსნობითა და გლეხების დახმარებით გაკეთდა სადგურ გომს და სოფელ ვაყას შუა მდებარე სურამულაზედ ორი ხის ხიდი და ერთიც ბოგირი. ამ კეთილს საქმეს მასალა უფასოდ დაუთმეს თავადებმა: გენერალმა მიხეილ ამირაჯიბმა, რევაზ ამირაჯიბმა, ნიკო დიასამიძემ, ვასილ და ლადო ბაგრატიონ-დავითიშვილებმა. მასალა მიჰზიდეს ალის საზოგადოების გლეხებმა უფასოდ. ფულად შესწირეს ამ საქმისათვის: გენერალმა მიხეილ ამირაჯიბმა—50 მან., თავადმა გიორგი ბაგრატიონმა—10 მან., თავ. სარდიონ ამირაჯიბმა—10 მან., ალექსი კიკნაძემ—10 მან., თავ. სოსიკო თარხნიშვილმა – 10 მან., იორდანე სიხარულიძემ—20 მან., მოსე ივანეს ძე მიხაილოვმა—10 მან., მელქო აკოფოვმა—10 მან., თავ. როსიკო ამირაჯიბმა—5 მან., თავ. გიგო ბეგთაბეგოვმა—5 მან., თავ. ვანო ბეგთაბეგოვმა—5 მან., დავით ჯანუევმა—10 მან., ღვთისწყალობ ყულიჯანოვმა—11 მან., მღვდელმა ისიდორემ—3 მან., მღვდელმა ტერ-დავითიანცმა—3 მან., იორდანე აბიაძემ—3 მან., იოსებ როსტომოვმა—5 მან., მიხეილ გოგატიშვილმა—5 მან., იოსებ ყროტაძემ—2 მან., ვასილ კალატოზოვმა 3 მან. და თავ. ლუკა ბეგთაბეგოვმა—65 მან. ჯამი 255 მანეთი.

ამ ფულში ოსტატებმა მიიღეს ხელ-ფასი 210 მანეთი, ლურსმანი დაიხარჯა 45 მანეთისა, ჯამი 255 მანეთი.

დროებით გომელი

## „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მიიღო 1898 წლის თებერვლის განმავლობაში

1) საწევრო ფული:

ა) დამფუძნებელის წევრის ეროთეოზ გიორგის ძე თ. სიდამონ-ერის- თავისაგან . . . . მ. 20

ბ) ნამდვილის წევრის ტარასი ლეონტის ძე ჭიჭინაძისაგან . 6

გ) წევრობის მსურველის დიმიტრი გიორგის ძე ხმიადაშვილისაგან . . . . 6

2) ყულაბით შეგროვილი ადამ ბერელაშვილისაგან 5 მან. 08 კაპ.


# განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი. (წ.)

ე. ფ. აუფერმანის

## მანქანათა საწყობი




ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—5)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—Б.—1)